პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 ოქტომბერი შაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 237 (14841)

გულითად მადლობას უძღვნიან

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო „გულითად მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივებს, ცალკეულ მოქალაქეებს, აგრეთვე მოძმე პარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, სოციალისტური და მეგობარი ქვეყნების მთავრობებს, სახელმწიფო მოღვაწეებს; საზღვარგარეთის სახელმწიფოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს, რომლებმაც მოგვილოცეს „ლუნა-16“ საბჭოთა ავტომატური სადგურის ფრენის წარმატებით დამთავრება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

იმრავლოს ჭერმა

ბეთლეემგილური და სალამია მშენებლის შრომა. მშენებელთა მრავალრიცხოვანი არმიის მარჯვენით შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში უზარმაზარი ფაბრიკები და ქარხნები, აშენდა ახალი ქალაქები, რესპუბლიკისა და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებს შეეფერა ახალი საცხოვრებელი მასივები და კვარტალები. შეიქმნა ხელოვნური ზღვები და ტბები.

მშენებელთა მარჯვენის მადლია, რომ ყოველწლიურად სულ უფრო მეტი სანიაღვარი ფოთდი დგება მწყობრში. ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში საქართველოში მარტო სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხაზით აშენდა და სალექსპლოატაციოდ გადაეცა 6 მილიონ 937 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობი. ბინა მიიღო და ახალმოსახლეობა იზეიმა 553 ათასზე მეტმა ოჯახმა.

ემზადებიან რა სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს ვადამდე შეასრულონ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, საბავშვო დაწესებულებების მშენებლობის გეგმები, აამაღლონ სამუშაოთა ხარისხი და ტემპი.

საქართველოში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხაზით სანიაღვარ მშენებლობის 9 თვის გეგმა მშენებლებმა 100,4 პროცენტით შეასრულეს, გეგმით სალექსპლოატაციოდ უნდა ჩაებარებინათ 282 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, ფაქტიურად ჩააბარეს 288 ათასი კვადრატული მეტრი. მშენებლობაში განსაკუთრებით ისახელა თავი საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 სამშენებლო ტრესტმა (მმართველი ა. ბუღია, მთავარი ინჟინერი ვ. მანჯგალაძე). სახელოვნებმა კოლექტივმა ბინათმშენებლობის 9 თვის გეგმა 165,8 პროცენტით შეასრულა და რუსთავის მეტალურგებსა და ქიმიოსებს გეგმის გადამეტებით ათასობით კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი ჩააბარა.

მშენებლები ამ დიდ წარმატებებს იმით აღწევენ, რომ აქ მომავალი წლის დამდეგისათვის ქმნიან ყოველგვარ პირობებს გამართული მუშაობისათვის, ფართოდ იყენებენ შენობათა აგების ნაკადურ-ჩქარობსნულ მეთოდებს, სწრაფად ზრდიან დიდბანელიან სახლთამშენებლო სიმძლავრეებს. სწორ ტექნიკურ პოლიტიკას მოხერხებულად უსამენენ აქტიურ ორგანიზატორულ მუშაობას. პირველად ბატიული ორგანიზაციები ყოველდღიურად უწევენ კონტროლს ხაქმის მიმდინარეობას, ზრუნავენ დადებითი გამოცდილების გავრცელებისათვის და კონკრეტულად ეხმარებიან თვითეულ კოლექტივს. ყოველივე ეს ხელს უწყობს რიგებულ მუშაობას, სამშენებლო წარმოების ეფექტიანობის ზრდას.

ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ქუთაისში № 4, ბათუმში № 5 და სოხუმში № 6 სამშენებლო ტრესტები.

სამწუხაროა, მიგრამ ფაქტია, რომ ბინანაო მშენებლობა სამარცხვინოდ ჩამორჩება თბილისში. შემდეგნაირ წლის 9 თვეში გეგმით საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცათ 125.500 კვადრატული მეტრი საერთო ფართობი, ფაქტიურად გადახცეს 103.639 კვადრატული მეტრი. დედაქალაქის მშრომელებს დაკლეს 31.861 კვადრატული მეტრი ფართობი. თბილისში ბინათმშენებლობას აწარმოებენ მთავარობილი მშენებლობა (მმართველი გ. შენგელია, მთავარი ინჟინერი ვ. ცინცაძე), № 2 სამშენებლო ტრესტი (მმართველი ვ. ჭურაძე, მთავარი ინჟინერი ი. გოგელია). № 3 ტრესტი (მმართველი კ. ჭანკელიანშვილი, მთავარი ინჟინერი ა. ჩიტაიშვილი), № 10 ტრესტი „მაღლიანშენი“ (მმართველი ა. ნაკაიძე, მთავარი ინჟინერი ი. არობელიძე), სახლსამშენებლო ტრესტი (მმართველი გ. კვიჭიძე, მთავარი ინჟინერი გ. ოკუჯავა). აღნიშნულმა ორგანიზაციებმა 9 თვის ბინათმშენებლობის გეგმა სამარცხვინო ჩამორჩენით დაამთავრეს განსაკუთრებით საგალო მდგომარეობა აქვს № 2 ტრესტს, რომელმაც 9 თვის გეგმა 27 პროცენტით შეასრულა.

მშენებელთა ასეთი ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ დაგეგმვაში არსებულ შეცდომებთან ერთად სანინაო მშენებლობის განვითარებას ხელს უშლის მშენებლობების არასკმარისად უზრუნველყოფა მუშახელითა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, ზოგან სუსტად იყენებენ ტექნიკას, აკლიათ მცირე მექანიზაციის საშუალებანი, ხშირად შემკვეთნი დაგვიანებით აწვდიან ტექნიკურ დოკუმენტაციას, ყოველდღე სანარდო ხელშეკრულებათა გაფორმება და სამუშაოთა დაფინანსება, გრაფიკს ჩამორჩენა მოეფინის მომზადება და, რაც მთავარია, ცუდად მშენებლობის ორგანიზაცია.

განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია სანინაო კოოპერაციული მშენებლობა რესპუბლიკაში წელს წლიური გეგმის მიხედვით საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 219 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი, ფაქტიურად 8 თვეში ჩაბარდა 61.137 კვადრატული მეტრი, ე. ი. გეგმა შესრულებულია 28 პროცენტით. აქედან თბილისში მწყობრში უნდა ჩამდგარიყო 175.990 კვადრატული მეტრი, ფაქტიურად ჩაბარდა 33.796 კვადრატული მეტრი, ე. ი. გეგმა შესრულებულია 19 პროცენტით. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. როგორც კაპიტალური დაბანდებების, ისე კოოპერაციული ბინათმშენებლობის საქმე თბილისში არასახარბიელო მდგომარეობაშია.

მშენებლობის ჩამორჩენასთან ერთად არც შესრულებული სამუშაოს ხარისხია დამაკმაყოფილებელი. რედაქციაში მოდის მობანდერეთა წერილები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ შესახლებიდან სულ ერთი თვის შემდეგ პარკეტი აიარა, კარ-ფანჯრები წესიერად არ იხურება და იკეტება, ელექტროგაყვანილობა ზოგან ცუდად არის მოწყობილი...

თბილისში სანინაო მშენებლობის ასეთი ჩამორჩენის გამო სერიოზული დასკვნები უნდა გაკეთონ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, სამშენებლო ორგანიზაციებმა. მათ უნდა დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად. ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ ნაიუბინელო წელს რაც შეიძლება მეტმა ოჯახებმა იზეიმოს ახალმოსახლეობა.

ჩამორჩენის დაძლევა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფართოდ დაინერგება მოწინავე კოლექტივების გამოცდილება, რომლებიც საცხოვრებელ სახლებს აშენებენ ქსელური გრაფიკით, ნაკადურ-შეთავსებული და სხვა პროგრესული მეთოდებით. საჭიროა უზრუნველყოფა თვითეული მშენებლობა ყოველივე აუცილებლით, რათა მუშაობა სწრაფი ტემპით ვაწარმოოთ. მეტად საჭიროა კიდევ უფრო გავაუარესოთ დიდბანელიანი სახლმშენებლობის საწარმოთა სიმძლავრეები, უფრო სწრაფად ავითვისოთ ისინი, მასობრივად დავნერგოთ მზა შენობისათვის ანგარიშსწორების პრაქტიკა. ამასთან საჭიროა განსაკუთრებით ვიზრუნოთ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისათვის, რადგან მთელ რიგ მშენებლობებზე სამუშაოთა ფაქტიური ღირებულება გეგმით გათვალისწინებულზე მაღალია.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონისძიებით უნდა გაუწიონ ხელმძღვანელობა მშენებელთა სოციალისტური შეჯიბრება, აამაღლონ კადრების პასუხისმგებლობა სახელმწიფო გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. სანინაო მშენებლობა არა მარტო სამეურნეო, არამედ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანაც არის, საექსპლოატაციოდ გადასაცემი სახლი უნდა აშენდეს ვადაზე ადრე კარგი ხარისხით, მშენებლებმა ისე უნდა მოაწყონ საქმე, რომ რაც შეიძლება მეტმა მშრომელმა ახალ ბინებში იდღესასწაულოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავი.

 იმრავლოს ჭერმა!

საბჭოთა ხელმძღვანელებმა პრეზიდენტ ჟ. პომპიდუსთან ერთად დაათვალიერეს პოსმოდრომი

8 ოქტომბერს საფრანგეთის პრეზიდენტი **ჟ. პომპიდუ** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი** იყვნენ კოსმოდრომზე.

პრეზიდენტ ჟ. პომპიდუსა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს უჩვენეს სხვადასხვა სახეობის კოსმოსური ტექნიკა. ისინი დაესწრნენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის „კოსმოს — 368“-ის გაშვებას.

(საკდესი).

საფრანგეთის პრეზიდენტი ციმბირში

ნოვოსიბირსკი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ნოვოსიბირსკში ჩამოვიდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ჟორჟ პომპიდუ** და ოფიციალური პირები, რომლებიც მას საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს ახლავან.

საფრანგეთის რესპუბლიკის მეთაურთან ერთად ნოვოსიბირსკში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი.**

(საკდესი.).

დღესასწაულობენ ნოფლის მშრომელები

8 ოქტომბერს საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საარტო დარბაზში გამართა სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღესასწაული მიძღვნილი საზეიმო კრება. დარბაზში შეიკრებნენ მეწამოიმეფენი და მეცხოველენი — საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელები, სპეციალისტები, მეცნიერები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, დიდებულების სახოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **შ. ი. ჭანუყვაძე, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლიაშვილი,** ჩვენი რესპუბლიკის სტუმარი, ორგანის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მორნავი, ავიაციის გენერალ-მაიორი **გ. ტ. ბერეგოვოი,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **ფ. ს. დუღაშვილი,** მინისტრები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების მოწინავენი.

კრება გახსნა სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თმჯდომარემ **ვ. ვ. კავაძემ.**

სოფლის მეურნეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო დღის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **მ. ბ. ლეონიძემ.**

სოფლის მშრომელებს გულთბილად მიესალმნენ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელექტროშენების ქარხნის ზეინაკი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ა. პაპანაშვილი,** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნ. ნ. კეცხოველი.**

შეკრებილნი მეჩუბარე ტაშით შეხვდნენ ტრიბუნაზე ასულ ვ. ტ. ბერეგოვოის, რომელმაც გულითადად მოფიცოცა საქართველოს სოფლის მშრომელებს ტრადიციული დღესასწაულთან.

მოსალის შემოქმედი მიესალმნენ აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი **ხ. ე. ჭილაია,** საქართველოს მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი **ნ. ბ. ხომიზურაშვილი.**

კრების მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მხატვრული კოლექტივის ძალებით. (საქდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით **ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვაშაძე

თბილისი. 1970 წლის 8 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და **ა. წერეთლის** სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის დაარსების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტისა

1. ალექსიშვილს ოთარ ალსონის-ძეს — თეატრის მთავარ რეჟისორს.
2. სვანელს ვალენტინა იოსების-ასულს — მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტისა

1. აბზიანიძეს რუსუდან გედევანის-ასულს — მსახიობს.
2. ბაქრაძეს აკაკი აბესალომის-ძეს — მსახიობს.
3. მოსეშვილს ასმათ მოსეს-ასულს — მსახიობს.
4. ჩაჩანიძეს როდერ ივანეს-ძეს — მსახიობს.
5. ხვედელიძეს ამირიდონ ბასონის-ძეს — მსახიობს.
6. ჭიფარიძეს დარეჯან კონსტანტინეს-ასულს — მსახიობს.
7. ჯიშკარიანს იზოლდა ლუკას-ასულს — მსახიობს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკისა:

1. კავთელაძეს ალექსანდრე მიხეილის-ძეს — თეატრის დირექტორს.
2. მიშველიძეს აკაკი ალექსანდრეს-ძეს — თეატრის დირექტორის მოადგილეს.
3. წერეთელს შალვა ალექსანდრეს-ძეს — სადადგმო ნაწილის გამგეს.

საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრისა:

აბესაძეს დავით მელიტონის-ძეს — თეატრის უფროს ბუღალტერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვაშაძე

თბილისი. 1970 წლის 8 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და ამ თეატრის დაარსების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ბარათაშვილი ანტონ გერასიმეს-ძე — ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.
2. გიორგაძე რეზო არკადის-ძე — ავტომანქანის მძღოლი.
3. ყიფშიძე სოლომონ ტარასის-ძე — თეატრის რეჟისორი.
4. შავდია პაველ ილიას-ძე — თეატრის უფროსი გამნათებელი.
5. შუკაკიძე ვლადიმერ სერგოს-ძე — ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე.
6. ჩაჩანიძე ნოდარ გრიგოლის-ძე — ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის მსახიობი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვაშაძე

თბილისი.
1970 წლის 8 ოქტომბერი.

გამარჯვებულ მევენახეთა ნობათები

რესპუბლიკის მევენახეებმა ფართოდ გაშალეს შეჯიბრება სკკპ 24-ე ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად და მოიწიეს უხვი მოსავალი, წარმატებით ასრულებენ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის ვალდებულებებს.

8 ოქტომბრისათვის მარნეულის რაიონის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 16.366 ტონა ყურძენი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 13.500 ტონა, ხოლო ვალდებულებით — 14 ათასი ტონა.

ყურძნის მოსავლის აღებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ყულარის, შაუმიანის, ალგეთის, ხრამის საბჭოთა მეურნეობებმა და თამარისის სახელმწიფო სანერგე მეურნეობამ.

რაიონში გრძელდება ყურძნის მოსავლის აღება და დამზადება.

ლაგოდეხის რაიონის მეურნეობებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 3.200 ტონა ყურძენი, მაშინ როცა გეგმით გათვალისწინებული იყო 2.510 ტონა, ხოლო ვალდებულებით — 2.600 ტონა.

ყურძნის მოსავლის აღებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფელ ჭაბუკიანის ჭავჭავაძის სახელობის, სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობებმა, სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „დრუჟბამ“, სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველომ“, სოფელ ბაისუბნის კოლმეურნეობა „წინსვლამ“.

რაიონში გრძელდება ყურძნის კრეფა და დამზადება. (საქდესი).

გილოცავთ, წითელწყაროელო მევენახეებო!

სურათზე: ზემო მაჩხაანის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ნ. მამაიაშვილი.**

ფოტო ვ. ბენგიურისა.

ვაზმაც გაგვიმართლა

წითელწყაროს რაიონის ხოფლის მეურნეობის ეკონომიკაში სულ უფრო იკიდებს ფეხს ახალი დარგი — მევენახეობა. ბევრ კოლმეურნეობაში ვენახის ფართობმა 200-300 ჰექტარს გადააჭარბა, ხოლო მთლიანად რაიონში 2,470 ჰექტარია. ახალშენი ვენახების დიდი მასივებია ზილიჩაში, ჯარიბანაში და ითრეზე.

მევენახეობის განვითარებისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი. გასულ წელს რაიონის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 11.491 ტონა ყურძენი და 5 მილიონ 557 ათასი მანეთი ფული მიიღეს. წელს ეს თანხა კიდევ უფრო მოიმატებს და 6 მილიონ მანეთს მიაღწევს. მარტო ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ წელს სახელმწიფო მარნებს 3.000 ტონა ყურძენი ჩააბარა და 1 მილიონ 400 ათასი მანეთი მიიღო.

რაიონში ყურძნის სარეკორდო მოსავალი საშუალოდ ჰექტარზე 100 ცენტნერი მიიღეს ზემოქედელმა მევენახეებმა. ბრიგადამ, რომელსაც ი. ქურციკაშვილი ხელმძღვანელობს, 71 ჰექტარი ვენახის ჰექტარზე საშუალოდ 130 ცენტნერი ყურძენი მიიღო.

სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც გაშლილია კოლმეურნეობათა ყველა საწარმოო რგოლსა და ცალკეულ კოლმეურნეთა შორის სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად, სათავეში უდგანან კომუნისტები. ისინი შრომის საუკეთესო მაგალითებს აძლევენ.

ახლახან რაიონში დამთავრდა რთველი. რაიონის მშრომელებმა ნაცვლად 9.000 ტონისა სახელმწიფოს მიაყიდეს 12.850 ტონა ყურძენი. ყურძნის უხვი მოსავლის მილებაში თავი გამოიჩინეს ზემო მაჩხაანის, ზემო ქედის, გამარჯვების, ქვემო ქედის, არხილოსკალოს და ნაბათლოს კოლმეურნეობებმა.

რთველის პარალელურად მევენახეები არ ივიწყებდნენ მომავალი წლისათვის ზრუნვას. წარმატებით აწარმოებენ ხაშემოდგომო სამუშაოებს. მალე დაიწყება ახალი ვენახების გაშენებაც.

ა. გონაგაშვილი,
საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

გულით შევიყვარეთ

ადრე ვაზი არ გვქონდა გაშენებული და ამიტომ არც ვენახის მოვლა-პატრონობა ვიცოდით. მაგრამ შემდეგში, როცა ჩვენს რაიონში ფეხი მოიკიდა მევენახეობამ, ვაზის კულტურა გულით შევიყვარეთ. გავეცანით მოწინავეთა გამოცდილებას, შევისწავლეთ ყურძნის მოყვანის წესები და ახლა უხვ მოსავალს ვიღებთ.

წელს ჰექტარზე 200 ცენტნერი ყურძენი მივიღე. გადაწყვეტილი მაქვს ეს მიღწევა მომავალშიც გავიმეორო.

ლ. ლაზვიაშვილი,
ზემოქედის კოლმეურნეობის მევენახე.

ქრგოშიკის ზვრეგში

ვაზის მოვლა-პატრონობამ, მასზე ყოველდღიურმა ზრუნვამ ბედნიერება და სიხარული მომანიჭა. ამასვე განიცდიან ჩემი თანამოსაქმენი, ვინაიდან ვაზმა შრომის ანაზღაურება ერთიანად იცის.

ჩვენს ბრიგადას წელს გეგმით 140 ტონა ყურძენი უნდა მიეღო, მაგრამ გეგმას არ დავჯერდით და 180 ტონა ყურძენი მივყიდეთ სახელმწიფოს.

ახლა მომავალ მოსავალზე ვზრუნავთ. გადაწყვეტილი გვაქვს ხუთწლედის პირველ წელს უფრო მეტი მოსავალი მივიღოთ.

გ. ალადაშვილი,
არბოშიკის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჟართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, დაარსების სამოცდათხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით **ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვაშაძე

თბილისი. 1970 წლის 8 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ა. ბ. ჩავლეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ამხ. აკაკი გიორგის-ძე **ჩავლეიშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 9 ოქტომბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. დ. ა. ხვარწკიანს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი ამხ. დიმიტრი ანდრიას-ძე **ხვარწკია** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე

თბილისი, 1970 წლის 9 ოქტომბერი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დღესასწაული

საზეიმო კრება თბილისში

9 ოქტომბერს თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ეროვნული დღესასწაული — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 21 წლისთავი.

საზეიმო კრება, რომელიც გაიმართა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში, გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ჭკანიამ.

მოხსენება გააკეთა საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის წევრმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ტაბაღუამ.

მუშათა და გლეხთა პირველი გერმანული სახელმწიფოს შექმნის 21 წლისთავი გულითადად მიულოცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს სოციალისტური შრომის გმირმა შ. ფიფცალავამ, „თბილქალაქპროექტის“ ინსტიტუტის განყოფილების მთავარმა კონსტრუქტორმა გ. შავაძემ, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ ო. ჯინორიამ, უნივერსიტეტის სტუდენტმა მ. ანდრაზაშვილმა.

კრებაზე გამოვიდა იენის უნივერსიტეტის პროფესორი კარი შპიცბარტი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

კრების მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს სსრ კავშირში და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას. (საქდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ამ ბოლო დროს ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პირები ავრცელებენ უოველნაირ მონაჭორებს, თითქოს საბჭოთა კავშირის პოზიციის გამო მწვავდებოდეს ვითარება ახლო აღმოსავლეთში, თითქოს საბჭოთა კავშირი „არღვევს სუეცის არხის ზონაში ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებებს".

ოფიციალური წრეების აშკარა ინსპირაციით ამერიკის პრესამ გაავრცელა ცილისმწამებლური კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეჭვიც არ არის, რომ ამ კამპანიის მიზანია წინასწარ განზრახვით დამახინჯებულად წარმოადგინოს საბჭოთა კავშირის პოლიტიკა და ამავე დროს გაამართლონ ისრაელის მმართველი წრეები, რომლებსაც ეკისრებათ უშუალო პასუხისმგებლობა ახლო აღმოსავლეთში ვითარების ასეთნაირად გამწვავებისათვის, რომლებსაც წაუწყია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური წარმომადგენლის იარინგის მისია. არის ცდები შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა დააკისრონ საბჭოთა კავშირსა და არაბულ ქვეყნებს. მაგრამ ეს ცდები უსაფუძვლოა და საკმაოდ ეწინააღმდეგება ფაქტებს.

რას მეტყველებენ ფაქტები?

საბჭოთა კავშირი, რომელიც თანმიმდევრულად იღვწის იარინგის მისიის შესაძლებლობათა გამოყენებისათვის, თავის მხრივ აქტიურად უწყობდა ხელს იმას, რომ განხორციელებულიყო პრაქტიული ღონისძიებანი კონტაქტების დასამყარებლად, რათა დაწყებულიყო მხარეთა მოლაპარაკება იარინგის მეშვეობით. სსრ კავშირის მთავრობამ განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ საბჭოთა მხარე, რომელიც დადებითად ეფასებს იარინგის მისიის შესაძლებლობებს, კვლავაც მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს, რათა მოლაპარაკება უახლოეს დროში დაიწყოს, და ხელი შეუწყოს მის წარმატებას.

საბჭოთა მთავრობა აგრეთვე დადებითად მოეკიდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და იორდანიის მთავრობების მზაყოფნას დათანხმებულიყვნენ ცეცხლის შეწყვეტაზე, თუ ასეთსაც ვალდებულებას იკისრებდა ისრაელი.

ამასთან, როგორც ეს კარგად იცის ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, საბჭოთა კავშირს მონაწილეობა არ მიუღია სუეცის არხის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის რაიმე პირობის მომზადებაში. ეს პირობები ამერიკის მხარემ წამოაყენა. საბჭოთა კავშირი კი თავიდანვე თანმიმდევრულად იღვწოდა ცეცხლის შეწყვეტისათვის, რადგან ითვალისწინებდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ღონისძიებას, და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა წარმატებით განხორციელებულიყო იარინგის მისია, რომლის მეშვეობით მხარეებს უნდა დაეწყოთ აზრთა ურთიერთგაზიარება.

ყველა ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ, რომლებიც ამერიკის მთავრობისათვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, ამერიკის შეერთებულ შტატებში ინსპირირებული იყო ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც აშკარად ისახავდა მიზნად ჩირქი მოეცხო საბჭოთა კავშირის პოზიციისათვის, — მისთვის დაებრალებინა რაღაც შეთანხმების დარღვევა. კერძოდ, ვრცელდებოდა ინსინუაციები, თითქოს სუეცის არხის ზონაში ჯაჭდა საზენიტო სარაკეტო დანადგარები საბჭოთა მომსახურე პერსონალით, რაც აგრეთვე აშკარა ფალსიფიკაციაა.

ამერიკის ოფიციალური პირების, აგრეთვე ისრაელის მტკიცებანი, თითქოს არაბთა გაერთიანებულმა რესპუბლიკამ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის პირობები, უარყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. რიადმა ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მიმდინარე წლის 4 სექტემბერს გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელს კაიროში, აგრეთვე თავის გამოსვლაში კაიროს ტელევიზიით მიმდინარე წლის 6 ოქტომბერს. ამ განცხადებებიდან ჩანს, რომ ნამდვილ მდგომარეობას საერთო არა აქვს რა იმ მონაჭორებთან, რომლებსაც ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში ავრცელებენ.

ზემოაღნიშნულ მონაჭორებს აშკარად ამისათვის მიმართეს, რომ შეექმნათ კიდევ ერთი უუნრეთ მოთრეული საბაბი, რათა ტელ-ავივს ჩაეშალა კონტაქტები, რომლებიც იარინგმა თითქმის დაამყარა მხარეებთან. სწორედ ისრაელი არღვევს ცეცხლის შეწყვეტის პირობებს. ისრაელის სამხედრო თვითმფრინავები თითქმის ყოველდღე იჭრებიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში. ისრაელის ჯარები სუეცის არხის აღმოსავლეთით მდებარე 50-იოდ ოლომეტრიანი ზონის ფარგლებში განუწყვეტლივ აშენებენ სამხედრო ნაგებობებს, გაჰყავთ კომუნიკაციები, აწარმოებენ სხვა სამუშაოებს სინინეარო ტექნიკისა და ავტოტრანსპორტის გამოყენებით. იქმნება ტანკების, არტილერიის, თვითმავალი ქვემეხებისა და საარაკეტო დანადგარების ახალი პოზიციები.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ისრაელსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომლებიც მას მხარს უჭერენ, ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ იარინგს ფაქტიურად ვერ დაუწყია თავისი მისიის შესრულება. ამასთან აკრესორები, რომლებმაც დაიპყრეს მეზობელი არაბული სახელმწიფოების მიწები და კვლავაც თელავენ საერთაშორისო სამართალს, თავს ნებას აძლევენ ფარისევლურად ასწავლონ ჭკუა არაბულ მხარეს — აკრესიის მსხვერპლს, თუ როგორ უნდა იქცეოდეს იგი.

არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ამას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თვითონაც ისე მოქმედებენ, რომ ამ მოქმედების შედეგად მწვავდება ვითარება ახლო აღმოსავლეთში. ამას ცხადყოფს, მაგალითად, ხმელთაშუა ზღვაში ამერიკის სამხედრო ხომალდების დამატებით გადაყვანა, ამერიკის მე-6 ფლოტის მიერ „ძალის დემონსტრაცია", რის გამოშწვევ ხასიათსაც ხაში გაუხვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადმა მონაწილეობამ.

სწორედ ამ პერიოდში ამერიკის მთავრობამ მოაწყო ტელ-ავივთან მოლაპარაკების სერია, მიიღო გადაწყვეტილება ისრაელისათვის გადაეცა „ფანტომის" ტიპის თვითმფრინავთა ახალი პარტია, ისრაელს კვლავ მისცა კრედიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის შესახებ.

აქვე უნდა ვახსენოთ ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ დაიჩემონ „უფლება" ახორციელებდნენ საზღვრავ ფრენას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საბჭოთა მხარემ ოფიციალურად განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, რომ ამერიკის მხარის ასეთი მოქმედება კიდევ უფრო ართულებს ვითარებას ამ რაიონში და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სუვერენიტეტის უხეში დარღვევაა.

ამ ბოლო დროს ამერიკის სახელმწიფო მოღვაწენი ხშირად ლაპარაკობენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში აუცილებელია ნდობა. ნუთუ ჰგონიათ, რომ მათი მოქმედება ახლო აღმოსავლეთის რაიონში, საზოგადოებრივი აზრის მოტყუება ფაქტების უდიერი დამახინჯების გზით ხელს უწყობს იმას, რომ განმტკიცდება ნდობა შეერთებული შტატების პოლიტიკისადმი ახლო აღმოსავლეთის მიმართ?

იმ პირობებში, როცა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და იორდანია ადასტურებენ, რომ მზად არიან დაიწყონ მხარეთა მოლაპარაკება იარინგის შეშვეობით, და, როცა არსებითად იცავენ ცეცხლის შეწყვეტის პირობებს, ფაქტიურად ისრაელისა და მისი მხარდამჭერი გარეშე ძალების პოზიციაზეა დამოკიდებული, გამოიყენებენ თუ არა ამ ხელშემწყობ შესაძლებლობებს ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა აირჩიონ, თუ რას მოემსახურება მათი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში: კვლავაც წაქეზებს ისრაელის უაუნურ მეწრაფეებს თუ მართლაც დაადგება უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილების შესრულების გზას, ამ რაიონში სამართლიანი და მყარი მშვიდობის დამყარებისათვის ხელისშეწყობის გზას?

საბჭოთა კავშირი იყო და კვლავაც არის იმის მტკიცე მომხრე, რომ ახლო აღმოსავლეთის პრობლემები პოლიტიკურად მოწესრიგდეს უშიშროების საბჭოს ზემოაღნიშნული რეზოლუციის ყველა ნაწილის შესრულების საფუძველზე.

საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოვლისმომცველ ღონისძიებით შეიუწყობს ხელს ამას ორმხრივი შეხვედრების ფორმებში და უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ოთხი სახელმწიფოს კონსულტაციებზე.

მსოფლიო დღეს

ფაქტები

● ლონდონი. 9 ოქტომბერი. (საკუთრივ). ინგლისის დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის „ოლიტიკალ �ფერეირსი" ეკუთვნოდა პროფკავშირებს უოველი ღონე იხმარონ, რათა ჩაშალონ კონსერვატიული მთავრობის ანტიპროფკავშირული და ანტიმუშური კანონპროექტის მიღება.

● პარიზი. 8 ოქტომბერი. (საკდესი). სიუდად-რეალის პროვინციის (ესპანეთი) სამრეწველო ცენტრში — პუერტოლანანოში დაატიმრეს არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი კომუნისტური პარტიის 8 წევრი და „მუშათა კომისიების" (არალეგალური პროფკავშირების) 6 აქტივისტი. დაპატიმრებული კომუნისტები 1966 წლიდან აქტიურ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდნენ.

● ბონი. 9 ოქტომბერი. (საკდესი). ბავარიის პარტიის ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე შტრაუსი ვიზიტით ვიეტნამში შეერთებულ შტატებში. შტრაუსი ამჟამად ოპოზიციური ქრისტიანულ — დემოკრატიულ ი კავშირის — ქრისტიანულ სოციალური კავშირის ერთ-ერთი ლიდერია და სათავეში უდგას ყველაზე მემარჯვენე დაჯგუფებას.

● ნიუ-იორკი. 9 ოქტომბერი. (საკდესი). ამჟამად შეერთებულ შტატებში ოფიციალურად რეგისტრირებულია 24 მილიონი დარბი. ეს ციფრები მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის ერთ-ერთმა მრჩეველმა დანიელ მოინიხენმა.

● ვაშინგტონი. 8 ოქტომბერი. (საკდესი). პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა მოიწონა კანონპროექტი სამხედრო შესყიდვების შესახებ, რომელსაც რამდენიმე თვის მანძილზე განიხილავდა კონგრესი. კანონის შესაბამისად ამერიკის მთავრობას უფლება აქვს ისრაელს მიაყიდოს სხვადასხვა სახეობის იარაღი, მათ შორის უახლესი თვითმფრინავები, ტანკები, სასროლი იარაღი და ზოგიერთი სახეობის რაკეტული იარაღი.

● ლონდონი, 9 ოქტომბერი. (საკდესი). ისრაელი არღვევს დაზავების შეთანხმებას და ბაძლიერებული ტემპით აწარმოებს საფორტიფიკაციო სამუშაოებს სუეცის არხის ზონაში. ისრაელის სპეციალური სამშენებლო რაზმები მიწაში მარხავენ ფოლადის ბუნკერებს, ადულებენ მათ ბეტონით და დგამენ მძიმე ქვემეხებს, ქმნიან თავისებურ „მაუნნოს ბუნკერს" უდაბნოში.

ფაქტები

ინიციატივა კი არა—მანევრი

პარიზი. 9 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი რ. სერვერენიკოვი იუწყება: მას შემდეგ, რაც დამთავრდა ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის 87-ე პლენარული სხდომა, ოთხი დელეგაციის წარმომადგენლებმა მოაწყვეს პრესკონფერენცია ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციათა წარმომადგენლებმა განმარტეს თავიანთი მთავრობების პოზიცია პრეზიდენტ ნიქსონის „ახალი" წინადადებების მიმართ, რომელთა გარშემო დასავლეთის პრესამ დიდი პროპაგანდისტული ხმაური ატეხა.

ნიქსონის გუშინდელი გამოსვლა რადიოთი და ტელევიზიით, სადაც გაუსვა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის წარმომადგენლობა ზითნე დინთსამ, „მშვიდობის ინიციატივა" კი არა, არამედ მანევრია, რომლის მიზანია საზოგადოებრივი აზრის მოტყუება და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამში ომის განგრძობა და გაფართოება.

პრეზიდენტი ნიქსონი, განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა ნგუენ თხან ლემ, გამოვიდა ვიეტნამელი ხალხის იმ სამართლიანი მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ მოლიანად და პირობის დაუთმელად გაიყვანონ ამერიკის ჯარები ვიეტნამიდან. ინარჩუნებს რა საიგონის ადმინისტრაციას როგორც თავისი ნეოკოლონიალისტური პოლიტიკიის იარაღს სამხრეთ ვიეტნამში, ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობს მშვიდობიანი გზით გადაჭრას ვიეტნამის პრობლემა და ცნოს ვიეტნამელი ხალხის ძირეული უფლებები.

კონსერვატორთა საპიფათო გეგმები

ბლეკპული. 9 ოქტომბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ა. დრიანცევი და ვ. კუზნეცოვი იუწყებიან: მეორე დღე ინგლისის კონსერვატიული პარტიის კონფერენციისა, რომელიც აქ მიმდინარეობს, მიეძღვნა „საერთო ბაზარში" ინგლისის შესვლის, როდეზიისა და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების განხილვას.

განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა კამათი რეზოლუციის გამო, რომელიც მოითხოვს ინგლისის შესვლას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში. ზოგიერთი დელეგატი თავის გამოსვლაში, ამტკიცებდა, რომ ამ ნაბიჯის შედეგად ინგლისი უთუოდ დაკარგავს თავის სუვერენიტეტს, შეიჭყლეტა მისი ტრადიციული ურთიერთობა ერთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.

კონფერენციამ ხმის უმრავლესობით მიიღო რეზოლუცია, რომელიც იწონებს ევროპის ეკონომიური გაერთიანებაში ინგლისის შესვლის კურსს.

კონსერვატიული მთავრობის „თავდაცვის" პოლიტიკის განხილვას არ მოჰყოლია რაიმე მოულოდნელობა. თავდაცვის მინისტრმა ლორდმა კარინგტონმა სიტყვის მეტი ნაწილი მიუძღვნა იმის მტკიცებას, რომ საჭიროა ინგლისის სამხედრო ძალების კიდევ უფრო განმტკიცება, მან აგრძნობინა დელეგატებს, რომ მთავრობა აპირებს კიდევ უფრო გადიდოს სამხედრო ხარჯები, რომლებიც ამჟამად შეადგენენ გიგანტურ თანხას — სამ მილიარდამდე გირვანქა სტერლინგს.

კამათმა როდეზიის სმიტის რეჟიმისადმი დამოკიდებულების შესახებ ცხადყო, რომ კონსერვატორები აპირებენ სამოლოო ანგარიშით აღადგინონ ურთიერთობა ამ რასისტულ რეჟიმთან. საგარეო საქმეთა მინისტრმა დუგლას-ჰიუმმა განაცხადა, რომ განზრახული აქვს განაახლოს მოლაპარაკება იან სმიტთან.

ეგანის გულახდილობა

ნიუ-იორკი. 8 ოქტომბერი. (საკდესი). შეერთებული შტატები საკმაოდ უმტერენ მხარს ისრაელის პოზიციას, რომელიც უარს ამბობს გამოიყვანოს ჯარები სუეცის არხის ზონიდან და ბოლანის მაღლობების რაიონიდან, განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ებანმა, რომელიც გამოვიდა „ამერიკის სინაღლეების საბჭოს" წევრთა წინაშე.

როგორც ებანმა თქვა, ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს შორის დამყარდა „ყველაზე გულითადი ურთიერთობა", რაც კი ისრაელის არსებობის მთელ მანძილზე ყოფილა. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აპასუხნადდელი გადაწყვეტილება შეწყვეტოს მონაწილეობა შემდგომ თათბირებში, რომლებიც გაიმართება ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანი პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე, ებანმა დაახასიათა, როგორც „ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი", რაც კი განხორციელებულა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა შეთანხმება ცეცხლის დროებით შეწყვეტის შესახებ.

ებანმა ფარისევლურად განაცხადა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის მთავრობა მზადაა ბოლოს დამყარება ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ ტელ-ავივს კვლავაც არ სურს დაამყაროს კონტაქტები არაბულ ქვეყნებთან. ამის მიზეზად დასახელა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ „ცეცხლის დროებით შეწყვეტის პირობების" ყბადაღებული დარღვევა სუეცის არხის ზონაში.

ლ. შტროუგალის გამოსვლა

კრაკოვი. 9 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიამ მოაწყო ახალი ციკლის პირველი გადაცემა, რომელიც გააშუქებს დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, რესპუბლიკის ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების პერსპექტივებსა და გეგმებს. ტელემაყურებელთა წინაშე გამოვლენ მინისტრები, სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ტელეგადაცემების ახალი ციკლი გახსნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ლ. შტროუგალმა, რომელმაც დაწვრილებით უპასუხა ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიის გენერალური დირექტორის ი. ზელენკას მთელ რიგ კითხვებზე.

ლ. შტროუგალმა ილაპარაკა ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის წარმატებების, საშინაო ბაზარზე მდგომარეობის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

ლ. შტროუგალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოლიტიკური კონსოლიდაციის წარმატებითი პროცესი, პარტიული ბილეთების გამოცვლის კამპანიის დამთავრება ქმნის კარგ საფუძველს რესპუბლიკის შემდგომ განვითარებისათვის.

მოკლედ შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ფინეთში მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანია მხარი დაუჭიროს სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის იდეას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე, ლ. შტროუგალმა აგრეთვე თქვა, რომ უახლოეს ხანში უნდა დაიწყოს ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობების მოლაპარაკება.

ცხოვრება კალაიოტში დგეს

ამანი. 8 ოქტომბერი. (საკდესი). არაბული ქვეყნების სპეციალურმა კომიტეტმა, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს კაიროს შეთანხმების შესრულებას, გუშინ მიიღო მთელი რიგი დადგენილებები და რეკომენდაციები, რომელთა მიზანია ცხოვრების შემდგომი ნორმალიზაცია იორდანიაში და მთელი ძალაუფლების გადაცემა ამ ქვეყნის სამოქალაქო ადმინისტრაციისათვის. ამ კომიტეტის შემადგენლობაში მყოფ ოფიცრებს მიეცათ წინადადება ყოველდღიურად წარმოადგენონ მოხსენებები ადგილებზე შექმნილი ვითარების შესახებ.

ქალაქებში ამანსა და ზარკაში ცხოვრება თითქმის ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა. ქუჩებში სულ უფრო ნაკლებად ჩანს წარსული ბრძოლების კვალი.

მდგომარეობა ბოლივიაში

ლა-პასი. 9 ოქტომბერი (საკდესი). როგორც ვიუწყებოდით, გენერალმა ხუან ხოსე ტორესმა იკისრა პრეზიდენტის მოვალეობანი და შეუდგა „სახალხო ნაციონალისტური მთავრობის" შექმნას.

„ინგავის" პოლკმა, რომელიც დაბინავებულია დედაქალაქში მარაფლორესის „ყაზარმებში, უარი თქვა დამორჩილებოდა გენერალ ტორესს. ამ პოლკმა ბოლივიაში „მწვანე ბერეტების" რეპუტაცია დაიმსახურა.

ადგილობრივ მიმომხილველთა აზრით, ბოლივიელი „მწვანე ბერეტების" პოლკის გამოსვლა რომელშიც, სხვადასხვა ცნობით, ხუთასიდან ორი ათასამდე კაცია, მოწმობს მათს მისწრაფებას გაერთიანონ მემარჯვენე სამხედროები გენერალ ტორესის წინააღმდეგ და მასზე ზეგავლენა მოახდინონ ისეთ დროს, როცა აწარმოებს მოლაპარაკებას ახალი მთავრობის შექმნის შესახებ.

ბენერალ ტორესის ერთგულმა ნაწილებმა ალყა შემოარტყეს მარაფლორესის ყაზარმებს.

ბუენოს-აირესი. 9 ოქტომბერი (საკდესი). ქვეყნის უდიდესმა პროფკავშირულმა გაერთიანებამ — ბოლივიის მეშათა ცენტრმა მოუწოდა მშრომელებს იარაღით ხელში გავიდნენ ქუჩებში, რათა ჩაშალონ მემარჯვენეთა განზრახვა. ეს ეს შეტყობა, რომ ჩამოდით მოსკოვში. ეს ეს მოხდა სანფრანცისკოს „სპარტაკს". მალე ეკი ადგზავნის ბაქოდან კომისარებთან. მიიღო ს. შაუმიანმა. ალერსიანი, ყურადღებიანი შაუმიანი დიდხანს ეკითხებოდა საქართველოს მდგომარეობაზე, შემდეგ ტელეფონით დარეკა: ალიოშა, ერთი წუთით შემოხედე. შემოვიდა ჯაფარიძე. ეკი გადაეხვია ხმელ-ხმელ მომცრო ტანის დავითს და ეკაკუნთალოდ თქვა: — რა არის ეს, თბილისიდან ბაქშვებს რომ ვგზავნიანენ.

დავითი განსაკუთრებულ ეხერნოსანთა რაზმში ჩარიცხეს. შემოდგომის ერთ დღეს შაუმიანმა და ჯაფარიძემ ეკი ამოიძახეს: აბა, დავით, გეყოფა ჯირითი. თბილისში წადი საქმეზე...

ითი დღის შემდეგ კი დავითმა შეიტყო, რომ ოქტომბრის ბაქოელი კომისარი დახვრიტეს...

ისევ მშობლიური მარგანეცის ალაროები. ბოლშევიკები უშეერულებში ამზადებენ ბაბუას ირჩევენ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მდგენად. მოულოდნელად ბოლოს ბოლოს, ხელმძღვანელობს ახალგაზრდული ორგანიზაციას „სპარტაკს". მალე ეკი ადგზავნეს ბაქოელ კომისრებთან. მიიღო ს. შაუმიანმა. ალერსიანი, ყურადღებიანი შაუმიანი დიდხანს ეკითხებოდა საქართველოს მდგომარეობაზე, შემდეგ ტელეფონით დარეკა: ალიოშა, ერთი წუთით შემოხედე. შემოვიდა ჯაფარიძე. ეკი გად



ეთერული საქართველოს მილიონერები

რამდენიმე დღეა საქართველოში სტუმრად არის ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, ავიაციის გენერალმაიორი გ. ტ. ბერეგოვოი.

ვაქვეყნებთ ინტერვიუს კოსმოსის გმირთან.

— როგორია ჩვენს რესპუბლიკაში, მის დედაქალაქში ყოფნით, ადამიანებთან შეხვედრებით მილებული თქვენი შთაბეჭდილებანი?

— სწორედ გითხრათ, მე მოველოდი, რომ შეხვდებოდი ასეთ გულთბილ სტუმართმოყვარეობას, რომელსაც აქ ძველი, კეთილი ტრადიციები აქვს. მაგრამ სინამდვილემ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. მოკლედ შეიძლება დავახასიათო ჩემი საერთო შეგრძნება როგორც ᲓᲘᲚᲘᲚᲘ. დიახ, სწორედ ნათელი ღიმილი მომაქვს გულით. წითელმალალტუკიან პიონერთა მხიარული სიცილი იყო ეს თუ მუშის მაგარი ხელჩამორთმევა, თუ ჭაღარამოსილი მევეხანის მამობრივი ალერსი, რომელშიც თითქოს ალაზნის უხვი მზე გამოსჭვიოდა. ყოველივე ეს თანაბარი სიღრმით ჩამწვდა გულში.

რა შეგიძლიათ თქვათ იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც ეხება საქართველოს მატერიალური და სულიერი ფასეულობანი მონოლითურად შეერთდნენ. აქ არიან თქვენი ლიტერატურის კორიფეებიც — ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, აქ არის ორი დობილის — არაგვისა და მტკვრის შეერთებაც, ძველი არქიტექტურის უბადლო შედევრებიც — სვეტიცხოველი და სამთავრო, ხიდიდით და ამავე დროს არქიტექტურული ფორმების დახვეწილობით რომ გვაოცებენ.

და კიდევ ჩემი აღტაცება გამოიწვია და პირდაპირ მომაჯადოვა იმან, თუ რა ხიუვარულითა და ერთგულებით ეკიდებიან თავიანთ საქმეს მუშაკები მუზეუმებისა, სადაც ინახება კიდლის მხატვრობის, ჭედურობის, კერამიკის განსაცვიფრებელი ნაწარმოებები.

რას უსურვებთ გაგზავნარეისას საქართველოს მფრინველებს, კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეებს?.

— წმიდად დაიცვან ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის ტრადიცია. ვუსურვებ ნაყოფიერ, ბედნიერ შემოქმედებითს შრომას, რათა ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა საქართველოს და მისი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს, გაახარონ სამშობლო ახალი დიდი წარმატებებით სკკპ XXIV კონგრესის აღსანიშნავად.

* * *

ეს სურათები ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა ბ. ბოზოხისამ მაშინ გადაიღო, როცა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი, მფრინავი კოსმონავტი გ. ტ. ბერეგოვოი თელავის რაიონის წინანდლის საბჭოთა მეურნეობას ეწვია და ესაუბრა ქართველ მევეხნეს დ. მოზსაძეს (სურათი მარცხნივ). მარჯვენა სურათზე კი აღბეჭდილია ის მომენტი, როცა გ. ტ. ბერეგოვოი სტუდიად არის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებთან და სტუდენტებთან. ქვემო სურათზე თქვენ ხედავთ კოსმონავტს ქართული ნაბდით, რომელიც მას ყვარელმა მშრომელებმა აჩუქეს.

მეცნიერების სამყაროში

ᲔᲡᲝᲞᲚᲘᲡ ყველა კალენდარში 1957 წლიდან აღინიშნება 4 ოქტომბერი, ამ დღეს დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში — კოსმოსური ერა. პირველ საბჭოთა თანამგზავრს მოჰყვა სხვები, ცა გადასერეს „ლუნნიკების“ ცეცხლოვანმა ამონაბოლქვებმა, გაემგზავრნენ ავტომატური სალანდაფოშორისო სადგურები, კოსმოსურ ორბიტაზე გავიდა თვით ადამიანი.

კოსმოსური კვლევა, რაც რამდენიმე წლის წინათ უჩვეულო გვეჩვენებოდა, ახლა თანდათან „რიგით“ მეცნიერულ ექსპერიმენტებად იქცევა, რომლებიც სულ უფრო უახლოვდება ექსპერიმენტებს ლაბორატორიებში.

მაგრამ უეჭველია, რომ კოსმოსურ კვლევათა წარმოებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრამ მოითხოვა მატერიალური რესურსების უდიდესი ხარჯვა, მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა დარგის სპეციალისტების ჩაბმა. თეორიული, ექსპერიმენტული და საკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულება უაღრესად ფართო მასშტაბებით.

ბუნებრივად ისმება კითხვა: რას გვაძლევს კოსმოსის შესწავლა? ამაზე მოგვითხრობს ეს სტატია.

რისთვის ვსწავლობთ კოსმოსს

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡ სიღრცის ფენისება უწინარეს ყოველისა გეოხმარება შეიცვალოთ გარემო სამყარო — მისწრაფება, რომელიც ყოველთვის სჩანდა ადამიანს.

კოსმოსური გაფრენების დაწყებამდე სამყაროს პანორამაზე დაკვირვება შეიძლებოდა მხოლოდ ორი „სარკმლის“ საშუალებით — ოპტიკური და ელექტრომაგნიტური სპექტრის ტალღების სიგრძის რადიოდიაპაზონით. „ოპტიკური სარკმელი“ უშვებს სპექტრის ხილვადი ნაწილის ზოლს, ისე თუ, რომელსაც ადამიანი აღიქვამს, და მისი მიმდებარე ულტრაიისფერი და ინფრაწითელი სხივების მცირე ზოლებს, „რადიოსარკმელი“ — მოკლე ტალღებს. ყველა დანარჩენ გამოსხივებებს, მათ შორის რენტგენის სხივებს, აგრეთვე გრძელ რადიოტალღებს ხთქმენენ წყლის ორთქლი, მოლეკულები ანგბადის, აზოტის, ოზონის და სხვა გაზებისა, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროს შეადგენენ, და დედამიწის ზედაპირამდე ვერ აღწევენ.

შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა წარმტაცი პერსპექტივები გადაეშალა მეცნიერთა წინაშე, როცა საზომი ხელსაწყოები რაკეტების და თანამგზავრების საშუალებით გატანილ იქნა დედამიწის მიღმა-რენ-არმოსფეროს ფარგლებს გარეთ.

მზის მოკლეტალღიანი გამოსხივება კოსმოსური ექსპერიმენტების ერთ-ერთი პირველი ობიექტი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მზის მოკლეტალღიანი გამოსხივების ენერგია შედარებით მცირეა, იგი არსებით გავლენას ახდენს პროცესებზე, რომლებიც დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარეობს. შექმნა იონოსფეროსი — დედამიწის გარშემო არსებული ატმოსფეროს იონიზებული ფენისა, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რადიოკავშირში, აგრეთვე განპირობებულია მზის მოკლეტალღიანი გამოსხივებით.

ამ გამოსხივების გამოკვლევა გვაძლევს ცნობებს მზის ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილ გარეგან გარსებზე. გამოსხივების სპექტრის მიხედვით შესაძლებლობა გაჩენს განვსაზღვროთ ქრომოსფეროს და გვირგვინის ქიმიური შემადგენლობა, მათი აღნაგობა და ტემპერატურა და ამრიგად მივიღოთ ახალი ცნობები მზის თვისების შესახებ.

მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა კოსმოსური პროცესების „ენერგეტიკა“. თანამედროვე კოსმოსური ფიზიკა აყენებს ამოცანას ეიხსნას იმ პროცესების არსი, რომლებიც იწვევენ ენერგიის ზემძლავრ გამოყოფას ისეთ კოსმოსურ ობიექტებში, როგორიც არის მზე, ვარსკვლავები, ვარსკვლავთა გიგანტური სისტემები — გალაქტიკების ბირთვები. ცნობილია, მაგალითად, რომ მზის მიერ ყოველ წამში გამოსხივებული თბოენერგია საკმარისი იქნებოდა ვიდნეო, ხოლო შემდეგ „აქდოუოებინა“ ყინულის ისეთი რაოდენობა, რომელიც დედამიწის სფეროს შემოერტყმებოდა 1.000 კილომეტრი სისქის მთლიან ფენად.

შედარებით ახლახან იმ ენერგიის ასახსნელად, რომელსაც განუწყვეტლივ „ფრქვევს“ მზე, აგებულნენ ყოველგვარ, ზშირად. ფანტასტიკურ ჰიპოთეზებს. ხოლო ალმოჩნდა, რომ მზის წიაღში თერმოატომური რეაქციები წარმოებს. საეჭვოთ ეხდოა, რომ ამ ენერგიის „შეგრძნების“ ხარხის დაუფლება უდიდეს საარეგლობას მოუტანდა ადამიანს. უკვე ახლაც შეიძლება მზის წიაღის „მოსინჯვა“ და ტემპერატურის გაზომვა მის ცენტრში. ამ მიზნით საჭიროა მზის მიერ გამოსხივებული ნაწილაკების — ნეიტრინოების დაჭერა, რომლებსაც შეიწოვის ედედესი ენარი ამვრ.

სპექტრის მოკლეტალღიანი ნაწილის კვლევისას, რომლის დაკვირვება შეიძლებელია დედამიწიდან. შეიკვეძლია მივიღოთ მნიშვნელოვანი ცნობები სხვა პლანეტების ბუნების, კერძოდ, მათი ატმოსფეროს შემადგენლობის შესახებ. კიდევ უფრო სრული შედეგებს მოგვეცემს უშიალო გაზომვა ატმოსფეროს სიღრმეში ან პლანეტების ზედაპირზე.

განსაკუთრებით დიდ შედეგებს უნდა მოველოდეთ ვენერასა და მარსისაკენ გაფრენებისაგან. ბევრი შრომა დახარჯულია იმაზე, რომ შეიკვლეთ ჩვენი პლანეტის ისტორია. ამ შრომას ფუჭად როდი ჩაუვლია. ყოველდღე ვსარგებლობთ დედამიწის სიმდიდრეებით. ძნელია წარმოვიდგინოთ თანამედროვე ადამიანის ცხოვრება, დღეგანდელი დღის მეცნიერება და ტექნიკა სასარგებლო წიაღისეულთა ფართოდ გამოყენებლად. საბადოთა სამეიბლოდ ძალიან დიდი სახსრები იხარჯება, მაგრამ ისინი ჭარბად გამართლდება ხოლო, როცა დედამიწა გვაძლევს მის წიაღში დაფარულ თავის განძს. სასარგებლო წიაღისეულთა ძიება უფრო ეფექტური იქნებოდა, რომ შეგვეძლოს ჩვენი პლანეტის წარსულში „ჩახედვა“. სწორედ ამ შესაძლებლობას იძლევა მზის სისტემის სხვა პლანეტების შესწავლა.

არის, მაგალითად, საფუძველი ეფიქრობთ, რომ მზის და პლანეტების წარმოქმნა ხდებოდა ერთდროულად ერთიანი „პროტომზიერი“ ნისლეულობიდან, რომელიც კონდენსირებულ იქნა ვარსკვლავთაშორისი ნივთიერებიდან. შემდეგში, ალბათ, ზოგიერთმა პლანეტამ თავის განვითარებაში სხვებს გაუსწრო. ამიტომ შეიძლება ვენერას შესწავლით გავიგოთ, რა მდგომარეობაში იყო დედამიწა ორიოდ მილიონი წლის წინათ.

ამ მხრივ შესწავლისათვის უფრო საინტერესო ობიექტია მთვარე. როგორც ჩანს, იგი ნარჩენია მატერიისა, რომელიც ვერ მიიტაცა დედამიწამ მყარი სხეულებიდან მისი ფორმირების პროცესში, მთვარეზე არ ყოფილა წყლის ქერქია. მის ზედაპირზე ფენებს ატმოსფეროსა ზემოქმედება არ განუცდიათ. ამიტომ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მასზე დარჩენილია უკანასკნელი 4,5 მილიარდი წლის ისტორიის მეტი ჟალი. ვიდრე ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მზის სისტემის რომელიც ენებავთ პლანეტაზე. მეცნიერებს იმედი აქვთ დამატებითი ცნობები მიიღონ „ლუნა-16“ სადგურის მასალების დამუშავების შედეგად, პირველ რიგში დედამიწაზე ჩამოტანილი თვალისეული გრუნტის ანალიზის გზით.

შესაძლო პერსპექტივები დედამიწის აგებულების შესწავლის სხვა პლანეტების აგებულებასთან შედარების გზით შეიძლება როგორლაც წარმოვიდგინოთ, თუნდაც ძალიან მიახლოებულად. მაგრამ თუ სხვა პლანეტების შესწავლისას აღმოჩნდება ხიცოცხლის ახალი ფორმები, შეიძლებელია გამოვიცნოთ, ადამიანთა ცხოვრების რა გრანდიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს ეს.

ᲕᲘᲜᲐᲓᲐᲜ, რომ სიცოცხლე ჩვენს პლანეტაზე ჩაისახა დაახლოებით მილიარდი წლის წინათ. ბიოლოგიური ობიექტების თანდათანობით განვითარებამ გამოიწვია ადამიანის გაჩენა. ეს გზა მიმდინარეობდა სავსებით გარკვეულ ფიზიკურ-ქიმიურ პირობებში. ეს პირობები სხვანაირი რომ ყოფილიყო, შედეგიც შესაძლოა სხვა იქნებოდა.

ამ ბოლო დრამდე მიიჩნდათ, მაგალითად, რომ ვენერა ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული პლანეტაა დედამიწისგარე სიცოცხლის შესასწავლად. მართლაც, მზის სისტემაში ხელსაყრელი მდებარეობა, წონა, მასა, თითქმის ზუსტი წრიული ორბიტა — ყოველივე ეს მოგვაგონებს ამ პირობებს, რომლებშიც ჩვენი დედამიწაა. მაგრამ ვენერას ატმოსფეროს ფიზიკურ-ქიმიურ დახასიათებათა გაზომვები, რაც საბჭოთა ავტომატურმა სადგურებმა შეასრულეს, გვიჩვენებს, რომ სიცოცხლის წარმოშობის და, მაშასადამე, აგრეთვე არსებობის შესაძლებლობა იქ ძალიან მეცირეა. გამონაკლისს შეიძლება შეადგენდნენ თავისებური ფორმები სიცოცხლისა ალბად-ორგანულ შენაერთთა საფუძველზე — ოღონდ თუ დავიჯერებთ სიცოცხლის არანახშირბადოვან ფორმებს.

ამასთან ერთად ნახშირბადის შენაერთები ნაპოვნია მეტეორიტებში. მაშასადამე, ნახშირბადოვან შენაერთთა ევოლუცია რადაც სხვა სამყაროებში საკმაოდ შორს წასულა. ეს ნიშნავს, რომ სამყაროში არსებობს სიცოცხლის განვითარების ობიექტური, კანონზომიერი ტენდენცია, რომ იქ, სადაც პირობები ხელსაყრელია, იგი ალბათ გარდუვალად უნდა წარმოიშობოდეს. ჩვენი მიწიერი სიცოცხლე. მატერიის ამ საერთო განვითარების ცალკეული შტოა. სიცოცხლის დედამიწისგარე ფორმების აღმოჩენა დაადასტურებს ამ დებულებას. ასეთი მოვლენა მრავალ. გაუთვალისწინებელ პრაქტიკულ გამოყენებასაც გამოიწვევს.

ᲣᲙᲕᲔ ახლა კოსმოსურ აპარატებს, რომლებიც დედამიწის გარშემო ფრინავენ, დიდი სარგებლობა მოაქვთ ადამიანებისათვის. ამის მაგალითს წარმოადგენს ხელოვნური თანამგზავრების გამოყენება კეთილდღეობის მიზნებისათვის. ისინი შესაძლებლობას იძლევიან დიდი სიზუსტით გავზომოთ მანძილები კონტინენტებს შორის. მათი დახმარებით მნიშვნელოვნად დაზუსტებულია დედამიწის ნამდვილი გრავიტაციული ფიგურა, ეგრეთ წოდებული გეოიდი, და მისი გადახრა სხვადასხვა სფეროში დედამიწის მიღებული საშუალო ფიგურიდან — ბრუნვის ელიფსოიდიდან. გამოირკვა, რომ არსებობს გარკვეული თანფარდობა ასეთი გადახრებსა და დედამიწის წიაღიდან სითბურ გამოსხივებას შორის. დასასრულ, ალმოჩნდა, რომ დედამიწა სრულებითაც არ ამყოფება ჰიდროსტატიკურ წონასწორობაში, როგორც კი მიღებული იყო იმ ჰიპოთეზის შესაბამისად, რომლის მიხედვით მატერიები თითქოს ცოტაოდენ პლასტიკურ ქერქქვეშა მაგმაზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ დასკვნა, რომ დედამიწა განიცდის შინაგან კონვექციურ დინებებს, „ისე იგი მასების ვერტიკალურ გადაადგილებებს ხდიდ ფენებში დიდ ფენებში და პირიქით. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გაფართოოა ჩვენი წარმოდგენები მთლიანად დედამიწის აგებულებაზე.

ზემოთ ლაპარაკი იყო იმ საარგებლობაზე, რომელსაც მოუტანს გეოლოგიას დედამიწის ჭეშმარიტ პლანეტების (ვენერას, მარსის) შედარებითი შესწავლა. მაგრამ უკვე ახლა გეოლოგებმა შეიტყვნენ კოსმოსიდან დაკვირვებათა ათვისებას. მათთვის ჩვეულები გახდა ჩვენი პლანეტის ფოტოსურათები, რომლებიც გადაღებულია კოსმოსური ხომალდიდან. ასეთი ფოტოსურათები უაღრესად საინტერესო მასალებს იძლევიან პლანეტისა და მისი ცალკეული ნაწილების აგებულებაზე. მაგალითად, ცნობილია, რომ სხვადასხვა საარგებლო წიაღისეული რაშმავდა მუშებს პოლიტიკური ბრძოლისათვის. გაიზარდა ჭიათურის მუშების მისწრაფება გათვითცნობიერებისაკენ, გაიზარდა მათი უშუალო დაინტერესება თეატრით. თუ აქამდე სცენისმოყვარეთა წარმოდგენების გამმართველი და მონაწილე ჭიათურის ინტელიგენცია იყო, ახლა უკვე მუშები თეატრს თავისად თვლიდნენ.

1906 წლის ზაფხულს მუშების მხარდაჭერით და მონაწილეობით ჭიათურაში დაარსდა სცენისმოყვარეთა მუდმივი წრე. მისი შექმნის ინიციატორები იყვნენ ანტა იურკვიჩი, ედენე წერეთელი, ეკიცია ფალავანდიშვილი, ნატალია სახარულიძე, გიორგი ნუცუბიძე, მირიან ჭანიმშვილი, ვლადიმერ შალიკაშვილი, ვასო ყიასაშვილი და სხვანი. წლიდან წლამდე იზრდებოდა ეს წრე და ემატებოდა ახალი ძალები, რომელთა მორის იყვნენ თამარ აბაშიძე, ნატალია კაკაბაძე, ივანე გომელაური, პავლე დადვაძე, ისიდორე ვარაზაშვილი, ბიტოლი ლეკავა, სოფრომ ტარუაშვილი და სხვები.

ჭიათურის რევოლუციამდელ დრამატულ წრეში სეზონობით იწვევდნენ პროფესიონალ მსახიობებსაც. ესენი იყვნენ ნინო დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, ვეფილინა წულუკიძე, არეთა ლოლუა, მარგარიტა ქილარჯიშვილი, ცაცა ამირეჯიბი, მარო მდივანი, სანდრო ყალამეგიშვილი, ნიკო გეგარაძე, ანაკო აპტალიდი და სხვანი. წრის ხელმძღვანელებად სხვადასხვა დროს მოწვეული იყვნენ მსახიობ-რეჟისორები ვალერიან შალიკაშვილი, ვასო ურუშაძე, ალექსანდრე წულუკიძე, კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, დავით ჩარკვიანი, ვასო არაბიძე.

დრამატული წრე მუდამ ცდილობდა ჭიათურის მუშებისათვის ეჩვენებინა სოციალური უსამართლობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის გამომხატველი ნაწარმოებები, რის გამო არაერთხელ განიცადა დევნა. 1907 წელს მთელი დასი დაპატიმრებულ იქნა ცენზურის მიერ აკრძალული პიესის დადგმის გამო.

წრის წარმოდგენების მართვის საქმეს განაგებდა ჭიათურის ქართული დრამატული საზოგადოება, რომელიც 1907 წელს დაარსდა.

საქართველოში მენშევიკების ბატონობისას ჭიათურის თეატრი საგრძნობლად დაქვეითდა, ისე როგორც იმ დროს საერთოდ იყო დაქვეითული საქართველოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრება.

ჭიათურის თეატრის ახალი ხანა იწყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1921 წელს იგი სახელმწიფო თეატრად გამოცხადდა, სარჯები თავს იდო მთავრობამ, და ახე შეიქმნა მტკიცე საფუძველი თეატრის განვითარებისა და სრულყოფისათვის. ამ დროიდან ჭიათურაში მუშაობდა პროფესიონალ მსახიობთა მუდმივი დასი. 1921 წელს დასის პირველი ხელმძღვანელი იყო მირიან ჭანიშვილი, რეჟისორი — გიორგი ნუცუბიძე. 1926 წლამდე თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ რეჟისორი მ. ქორეული, მსახიობი შ. ხოსელი, ხოლო 1926-1927 წლის სათეატრო სეზონიდან თეატრს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი და მსახიობი პავლე ფრანგიშვილი, რომელიც თეატრს ხელმძღვანელობდა 1939 წლამდე, შემდეგ კი გადაყვანილ იქნა თეატრის შესაქმნელად ქ. გორში, ხოლო 1949 წელს კვლავ დაუბრუნდა ჭიათურის თეატრს და განაგრძო მოღვაწეობა თეატრის მთავარ რეჟისორად 1958 წლამდე. პავლე ფრანგიშვილმა დიდი ამაგი დასდო ჭიათურის თეატრს, მრავალი შესანშნავი წარმოდგენა უჩვენა მაყურებელს, მრავალი ნიჭიერი ძალა გამოაფინა და აღზარდა მშობლიური თეატრისათვის.

დიდი ამაგი დასდო ჭიათურის თეატრს რეჟისორმა სოფრომ ცომაიამ, რომელმაც სარეჟისორო მუშაობა 1929 წლიდან დაიწყო და აქ უკანასკნელ სანუამდე მოღვაწეობდა. დიდი სამამულო ომის პერიოდამდე თეატრმა მრავალი ღირსშესანიშნავი დადგმა უჩვენა ჭიათურელ მაყურებელს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თეატრმა დადგა ყველა ახალი ქართული ორიგინალური პიესა თანამედროვე თემაზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი დადგმები: პ. კაკაბაძის „ყვავყვარე თუთაბერი“ და „ალლეურნის ქორწინება“, პ. სამსონიძის „სალტე“, გ. ბაბაზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“, ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა“.

ომამდელ პერიოდში პ. ფრანგიშვილისა და ს. ცომაიას გარდა მთელი რიგი დადგმები განსხორციელეს გ. დარისპანაშვილმა, გ. როსებამ, პ. ოლოსაძემ და გ. გორდაძემ. თეატრში მხატვრებად მუშაობდნენ დ. კლდიაშვილი, ვ. ცომაია, ა. ჟორდანია, შ. ერისთავი. მათ ბევრად შეუწყვეს ხელი თეატრის შემოქმედებითს წარმატებას. ფრიად ნაყოფიერი იყო ამ ხანებში კომპოზიტორ რ. გოგნაშვილის მოღვაწეობა. მან მაღალი ღირსების მუსიკა შექმნა თეატრის მრავალი დადგმისათვის.

დიდი სამამულო ომის წლებში ჭიათურის თეატრი აქტიურად იყო ჩაბმული ჩვენი ქვეყნის თავდაცვის პატრიოტულ საქმეში. ამ ამოცანას ემსახურებოდა მთელი რიგი მისი პატრიოტული შინაარსის სპექტაკლები. ოცდათორმეტი ახალგაზრდა მსახიობი და ტექნიკური მუშაკი წაეიდა თეატრიდან საბჭოთა არმიის რიგებში და გმირულად იბრძოდა ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ. მათგან თვრამეტნი ვერ დაუბრუნდა თავის ოჯახს.

სამამულო ომის შემდგომი ხანა ჭიათურის თეატრის შემოქმედებითი ზრდის პერიოდია. ოცდახუთი წლის მანძილზე თეატრმა დადგა მრავალი რჩეული და საუკეთესო დრამატული ნაწარმოები. რეპერტუარის შერჩევისას მთავარი ყურადღება ექცეოდა თანამედროვე საბჭოთა შინაარსის ქართულ ორიგინალურ ნაწარმოებებს, მათს მაღალმხატვრულ გასახიერებას. თეატრმა დადგა ჩვენი ცნობილი დრამატურგების თანამედროვეობის ამსახველი ნაწარმოებები, აგრეთვე მეორი კლასიკური, რუსული და უცხოური დრამატული ნაწარმოებები.

პავლე ფრანგიშვილის შემდეგ ჭიათურის თეატრის თავარ რეჟისორებად სხვადასხვა დროს იყვნენ იური კაკულია, გუგული სებისკვერაძე და ოთარ ალექსიშვილი, რომლებმაც არაერთი დადგმით გაუთქვეს სახელი ჭიათურის თეატრს.

ჭიათურის თეატრის სპექტაკლებს იცნობს არა მარტო ჭიათურის მაყურებელი. თეატრის კოლექტივი გასულითი წარმოდგენებით მუდმივად ემსახურება ჭიათურის რაიონის სოფლებს, მაღაროებს, კოლმეურნეობებს, თითქმის ყოველ წელიწადს აწყობს გასტროლებს საქართველოს რაიონებში, რამდენჯერმე ეტუმრა თბილისსაც. მისი სპექტაკლები ყველგან წარმატებით სარგებლობს.

ამჟამად თეატრის შემოქმედებითს კოლექტივს ხელმძღვანელობს მთავარი რეჟისორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ოთარ ალექსიშვილი, რეჟისორია სოლომონ ყიფშიძე, აქ მუშაობენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები რუსუდან აბზიანიძე, ასია დათუბაშვილი, ასმამ მოსეშვილი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვალენტინა სვანელი, ლილი თაყაძე, დოდო ქერდიკაშვილი, ქეთევან შარიქაძე, ელეონორა ციუმა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები დარეჯან ჯაფარიძე, იზა ჯიმსარიანი, ანტონ ბარათაშვილი, აკაკი ბაქრაძე, მსახიობები იური ბიწაძე, გიორგი გაწერილაძე, თენგიზ ინასარიძე, ჯუმბერ კიპაროიძე, ვიქტორ მიქაუტაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები გივი მოდებაძე, იოსებ ტყემალაძე, ნიკოლოზ ჭანშვილაძე, მსახიობი იოსეფ ჩაჩანიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნოდარ ჩაჩანიძე, როდენ ჩაჩანიძე, ამირიდონ ხვედელიძე.

თეატრის დირექტორია რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი ბუხუტი კავთელაძე.

ფრიად ნაყოფიერი იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მიხეილ აბჟანდაძის ხანგრძლივი მუშაობა როგორც თეატრის თავარი მხატვრისა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ნიჭიერი მსახიობების, რესპუბლიკის სახალხო არტისტების თამარ აბაშიძის, მიხეილ ვაშაძისა და გრიგოლ ტყაბლაძის სასცენო მოღვაწეობა.

ასეთია მოკლედ ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წარსული და აწმყო. ვფიქრობთ, შემოქმედებითად მდიდარი და სანტერესო იქნება მისი მომავალიც. ამის სრულ გარანტიას გვაძლევს თეატრის კოლექტივის თავდადებული შემოქმედებითი შრომა და ის დიდი ყურადღება და ზრუნვა, რასაც თეატრს უწევენ როგორც ადგილობრივი, ისე რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

გ. ბუხნიკაშვილი,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ Ა. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ
ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ 75 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

სახელოვანი გზით

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება ატარებს საქართველოში ჩვენი დიდი პოეტის აკაკი წერეთლის სახელს, მაგრამ ჭიათურის თეატრისათვის 1949 წელს ამ სახელის მინიჭება ყველაზე მართებული იყო, რადგან თვით ქალაქ ჭიათურის არსებობა მჭიდრად არის დაკავშირებული აკაკის სახელთან. როგორც ცნობილია, პირველმა აკაკიმ მიაქცია ყურადღება ჭიათურის მარგანეცის საბადოებს, პირველმა მან ჩამოიტანა შავი ქვა ცხენებით ჭიათურიდან ზუსტაფონში და გასაყიდად გაგზავნა რუსეთსა და უცხოეთში. მართალია, პოეტმა ამ საქმეში ვერაფერი სეირი ნახა, იზარალა კიდეც, ვალებში ჩავარდა და მარგანეცის მწარმოებლობაზე ხელი აიღო, მაგრამ მის გაკვალულ გზას სხვები გაჰყვნენ, და გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების დამლევიდან უკვე დაიწყო მარგანეცის წარმოება. პატარა სოფელი ჭიათურა კი ამ წარმოების ცენტრად იქცა.

თანდათან მომრავლდნენ ჭიათურაში მუშები, და მათი კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ჭიათურაში გაიხსნა საკვირაო სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

ჯერი სცენისმოყვარეთა წარმოდგენებზეც მიდგა.

პირველი ასეთი წარმოდგენა ჭიათურაში გაიმართა 1894 წლის 23 (11) დეკემბერს. ეს თარიღი ითვლება ჭიათურის თეატრის დაბადების დღედ და ამ ისტორიული დღის 75 წლისთავს ზეიმობს დღეს ჭიათურის მაყურებელი და საქართველოს მთელი საზოგადოებრიობა.

პირველ ხანებში სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს შემთხვევითი სასიათი ჰქონდა და ისინი ეკრძო სახლებში იმართებოდა, 1901 წელს კი ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დახმარებით სცენისმოყვარეებმა შუდმივი ბინა გაიჩინეს სახელდასახელოდ გადაკეთებულ გრძელ სარდაფში.

გარდა ადგილობრივი სცენისმოყვარეებისა, ჭიათურაში წარმოდგენებს მართავდნენ ქუთაისის თეატრის მსახიობები. ჭიათურის იმდროინდელ მაყურებელს არაერთხელ უნახავს სპექტაკლები ქუთაისის თეატრის მსახიობების ლადო მესხიშვილის, ნინო ჩხეიძის, შალვა ლადიანის, დავით ჩარკვიანის, იუშა ზარდალიშვილისა და სხვათა მონაწილეობით. არაერთხელ სწვევიან ჭიათურის მუშებს. თბილისის დრამატული დასის მსახიობებიც მაკო საფაროვა-ბაბაშიანისა, ნატო გაბუნიაცგაგარლისა, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია და სხვები.

ცხრაასიანი წლების დამდეგიდან რუსეთში დაწყებულმა მუშათა მოძრაობის აღმავლობამ ჭიათურაშიც ჰპოვა გამოძახილი. ჭიათურაში უკვე შეიქმნა არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც რაზმავდა მუშებს პოლიტიკური ბრძოლისათვის. გაიზარდა ჭიათურის მუშების მისწრაფება გათვითცნობიერებისაკენ, გაიზარდა მათი უშუალო დაინტერესება თეატრით. თუ აქამდე სცენისმოყვარეთა წარმოდგენების გამმართველი და მონაწილე ჭიათურის ინტელიგენცია იყო, ახლა უკვე მუშები თეატრს თავისად თვლიდნენ.

1906 წლის ზაფხულს მუშების მხარდაჭერით და მონაწილეობით ჭიათურაში დაარსდა სცენისმოყვარეთა მუდმივი წრე. მისი შექმნის ინიციატორები იყვნენ ანტა იურკვიჩი, ედენე წერეთელი, ეკიცია ფალავანდიშვილი, ნატალია სახარულიძე, გიორგი ნუცუბიძე, მირიან ჭანიმშვილი, ვლადიმერ შალიკაშვილი, ვასო ყიასაშვილი და სხვანი. წლიდან წლამდე იზრდებოდა ეს წრე და ემატებოდა ახალი ძალები, რომელთა მორის იყვნენ თამარ აბაშიძე, ნატალია კაკაბაძე, ივანე გომელაური, პავლე დადვაძე, ისიდორე ვარაზაშვილი, ბიტოლი ლეკავა, სოფრომ ტარუაშვილი და სხვები.

ჭიათურის რევოლუციამდელ დრამატულ წრეში სეზონობით იწვევდნენ პროფესიონალ მსახიობებსაც.



სურათებზე: სცენები ჭიათურის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებიდან — დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (მარცხნივ) და გ. ბათიაშვილის „ძახილი“.

ფოტო მ. ბაგოვისა.

გილოცავთ, მეგობრებო!

ᲛᲝᲮᲐᲠᲣᲚᲘ ვარ, რომ დღეს საშუალება მომეცა მივესალმო და მივულოცო ჭიათურის თეატრის დაბადების 75 წლისთავი მაღაროელთა ქალაქს, მის გმირჯე, მშრომელ ადამიანებს, ამ დიდი ტრადიციების თეატრის შემოქმედებით კოლექტივს, რომელსაც წლების განმავლობაში ძირს არ დაუხრია ქართული სასცენო ხელოვნების დროშა. ჭიათურის თეატრის კარი მუდამ ღია იყო ქართული სცენის დიდოსტატებისათვის... მუშათა ქალაქის თეატრში ამაუად გაისმოდა ლადო მესხიშვილის, ალექსანდრე იმედაშვილის, ვალერიან გუ

პოეზიის დღე—რუსთაველის დღე

საქართველოში თავანაკარა ქართული ლექსის, ქართული პოეტური სიტყვის ნამდვილი ზეიმია, რომელიც განსაკუთრებით უხდება წლევანდელი გაზაფხლის თითქმის უველა კალაქში, რაიონში და სოფელში გაისმის ქართული ლექსი, კულტურის სახლებში, ბიბლიოთეკებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და სხვებან იმართება ლიტერატურული დილასალამოები, მიტინგები, შეხვედრები, რომლებშიც მზრუნველი საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობენ ქართველი მწერლები. გამოვიდა პოეზიისადმი მიძღვნილი ერთიდროული ლიტერატურული გაზეთები („პოეზიის დღე — რუსთაველის დღე“ — თბილისში, გამოიცემლობა „მერანი“ და „ლიტერატურული კუთაისი“), რესპუბლიკური და სარაიონო გაზეთები, რადიო. და ტელევიზია დიდ ადგილს უთმობენ ქართულ პოეტურ სიტყვას.

ორშაბათს, 12 ოქტომბერს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი პოეზიის მოყვარულთ იწვევს მწერალთა სასახლის (მაჩაბლის ქ. 18) კლუბში. აქ გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო.

ვახტანგ გორგაძელი

ლესია უკრაინკას

„მე რომ უკრაინელი არ ვიყო,
ვისურვებდი ქართველი ვყოფილიყავ“.

ლესია უკრაინკა.

შენ ისე ახლობელი ხარ,
შენ ისე გულმა გიწამა,
შენ ისე მკერდში ჩაგიკრა
ჩემი სამშობლოს მიწამა,
ეგ სიტყვა ისე მიიღო
სულის ვარდმა და იამა,
ფრთა ისე ლაღად გაშალა
შენი სიმღერის ნიავმა,
ამერ-იმერთა ოჯახი
ყველგან აქ ისე მიგელის,
მე რომ ქართველი არ ვიყო,
გავხდები უკრაინელი.
მენი ლექსების დიდებას,
შენს შემართებას გმირულად
მე რომ ქართულად არ ვწერდი,
დავწერდი უკრაინულად.
დღეგანდელ დღეთა ნუგეშად,
ხვალინდელ დღეთა დასტურად,
იქ, როგორც უკრაინაში,
აქ ისე გლოცავ ქართულად.

ქართველი საქმიერელების დღესასწაული

ბუდაპეშტი. (ტელეფონით). როგორც „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, 8 ოქტომბერს დაიწყო ქართული კულინარიის დეკადა. რესტორან „ბუდაპეშტში“, სადაც ამზადებენ ქართული კულინარიის საუკეთესო ნიმუშებს, ადგილის შოვნა ძალიან ძნელია.

დიდი წარმატებით სარგებლობს ქართული პური, რომელსაც რესტორან „ბუდაპეშტში“ აცხობენ სირბილაძე და ჩხეიძე, იმერული ყველი და ნაზუქები, რასაც ამზადებს ტექნოლოგი წილოსანი ქალაქ სეიჩენის ქარხანაში. ქართველმა კულინარებმა გოლოვნენშვილმა, ჩიხრაძემ, გაგნიძემ, ბერიშვილმა, ხიზანბარელმა აქაც გამოაჩინეს თავი. მათ მიერ დამზადებული საცივი, ხარჩო, ჩიხირთმა, ჩანახი, ლობიო ქოთანში, მწვანე ლობიო ნიგვზით, ხაჭაპური, ღომი სულგუნით, მჭადი, ნადური პიტნით, წიწილა ტაბაკად, შემწვარი გოჭი, ბატკნის მწვადი, ღორის სუკი, ბასტურმა და სხვა კერძები დიდი მოწონებით სარგებლობს.

რესტორან „ბუდაპეშტის“ კედლებს ამშვენებს ქართული ჰედური ხელოვნების ნიმუშები. მომხმარებელი მოხიბლა ქართულმა მელოდიებმა, რომლებსაც ასრულებს საესტრადო ანსამბლი „ციცინათელა“ (ხელმძღვანელი — ... ...